



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/80

ქ. ბათუმი

06 აგვისტო, 2021 წ.

ბსუ-ს 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

და ა დ გ ი ნ ა:

1. ბსუ-ს სასწავლო პროცესი 2020-2021 სასწავლო წელს წარიმართოს (აკადემიური კალენდარი განისაზღვროს) შემდეგ ვადებში:

ა) 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სასწავლო პროცესი (ლექციები/ჯგუფში მუშაობა/სემინარები/ლაბორატორიული სამუშაო) საბაკალავრო, საბაკალავრო-სამაგისტრო, ერთსაფეხურიან, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე (გარდა ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამისა) დაიწყოს **2021 წლის 04 ოქტომბერს** და დასრულდეს **2022 წლის 22 იანვარს**;

ბ) 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სტუდენტთა აკადემიურ რეგისტრაციაში ცვლილებების შეტანა **დასრულდეს** 2021 წლის 03 ოქტომბერს;

დ) საშობაო არდადეგები გამოცხადდეს 2021 წლის 31 დეკემბრიდან 2022 წლის 09 იანვრის ჩათვლით;

ე) შემოდგომის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2022 წლის 24 იანვრიდან 13 თებერვლის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2022 წლის 14 თებერვლიდან 20 თებერვლის ჩათვლით;

ვ) გაზაფხულის სემესტრისათვის სტუდენტთა აკადემიურ რეგისტრაციაში ცვლილებების შეტანის პერიოდად განისაზღვროს 2022 წლის 21 თებერვალი - 06 მარტი;

ზ) გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესი (ლექციები/ჯგუფში მუშაობა/სემინარები/ლაბორატორიული სამუშაო) დაიწყოს **2022 წლის 07 მარტს** და დასრულდეს **2022 წლის 19 ივნისს**.

თ) გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2022 წლის 20 ივნისიდან 10 ივლისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2022 წლის 11 ივლისიდან 17 ივლისის ჩათვლით;

ი) კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება განხორციელდეს 2022 წლის 18 ივლისიდან 22 ივლისის ჩათვლით;

კ) სასწავლო პროცესი (ლექციები/ჯგუფში მუშაობა/სემინარები/ ლაბორატორიული სამუშაო) ჩატარდეს ყოველ დღე, გარდა შაბათ-კვირისა (საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ამ მიზნით შაბათის გამოყენება), ფაკულტეტზე შემუშავებული სასწავლო ცხრილების შესაბამისად. აკადემიური საათი განისაზღვრება 50 წუთით, ხოლო მეცადინეობათა შორის შუალედი/შესვენება - 10 წუთით. დისტანციური სწავლების პირობებში, აკადემიური საათის ხანგრძლივობა განისაზღვრება ბსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სერვისების მეშვეობით მიწოდებული ინსტრუქციით (არანაკლებ 40 წთ-ით, სტუდენტთა საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ელექტრონული კომუნიკაციის პირობით).

2. საქართველოს მთავრობის ან/და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა (რეკომენდაციების) გათვალისწინებით ბსუ-ში 2021-2022 სასწავლო წლის კალენდართან ან/და სასწავლო პროცესის სრულად ან ნაწილობრივ ელექტრონულად (დისტანციურად) წარმართვის საჭიროების შემთხვევაში, ასევე სასწავლო (სალექციო) ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისათვის შესაბამისი სამართლებრივი აქტები გამოიცეს ბსუ-ს რექტორის მიერ.

3. სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა უზრუნველყოს 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის (თანდართული უქმე დღეების ჩამონათვალით) ცხრილის შედგენა და ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისათვის წარდგენა.

4. დადგენილება საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ბსუ-ს კანცელარიასთან და ფაკულტეტების დეკანატებთან თვალსაჩინო ადგილებზე, ბსუ-ს ვებგვერდსა და ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე, ასევე სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს ყველა სტრუქტურულ ერთეულს და მართვის ორგანოს.

5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი

მერაბ ხალვაში